

01/08/2025



MES 3 25 0000940792

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 18 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;

დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი/ საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო თამაზაშვილი

მაია ოშიაძე

თორნიკე თუთარაშვილი

ეკატერინე ბალარჯიშვილი

მიხეილ ხუციშვილი

ნინო ბეგლარაშვილი

ქეთევან ღვანიძე

დიანა გახარია

ელისო მურვანიძე

ბექარ კილასონია

ხათუნა ფარეიშვილი

გიორგი ევგენიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცენტრის ხელმძღვანელი - გიორგი ოკრიბელაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა შარაბიძე

შპს მარნეულის კოლეჯი

მარნეულის კოლეჯის აკადემიური დირექტორი - ნინო გომელაური

ადმინისტრაციული დირექტორი - სოფიო გომელაური

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - იამზე ახალკაციშვილი

სტრატეგიული მენეჯერი - ორენა ალაგარდაშვილი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

ხარისხის მენეჯერი - ნინო დვალი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მასაჟის თერაპიის ხელმძღვანელი - ოლიკო გურგენიძე

იურისტი - ივანე ბალახაშვილი

სსიპ კოლეჯი "იბერია"

დირექტორი - ირაკლი ავალიანი

დირექტორის მოადგილე - ანა ცუცქერიძე

ხარისხის მართვის მენეჯერი - დარეჯან ლოსაბერიძე

ხარისხის სპეციალისტი - ლალი ღამბარაშვილი

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი - დავით ხელიძე

საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" პროგრამის ხელმძღვანელი - ისიდორე კაჭახიძე

„მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროგრამის ხელმძღვანელი - თამარ ძნელაძე

ა(ა)იპ - კოლეჯი "პრესტიჟი"

დირექტორის მ/შ - ონსტანტინე დოლიძე

დირექტორის მოადგილე - ია სარაჯიშვილი

ხარისხის მართვის მენეჯერი - ქეთევან ბოტკოველი

იურისტი - დარეჯან გულაზიანი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 მარტის N347105 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მარნეულის კოლეჯში "აღმზრდელი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისთვის "მასაჟის თერაპია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ბაღდათი);

5. სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
6. სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).
7. ა(ა)იპ - კოლეჯ "პრესტიჟის" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 მარტის N347105 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს სხდომაზე საკითხი წარადგინა პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) დარეგისტრირდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის N623312 - 04.06.25 და N715171 - 20.06.25 წერილები, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. დაწესებულებამ განახორციელა რიგი ცვლილებები ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა მოდულები: მეწარმეობა (4კრ.) - მოდულის განმახორციელებელი მანანა შალამბერიძე;
2. პროგრამის პროფესიული მოდულების განმახორციელებლად მოწვეულ იქნა შპს „ორქო“ რესტორან ასტორიას მენეჯერი (13 წლიანი პრაქტიკული გამოცდილებით) დავით კვერნაძე;
3. პროგრამას დაემატა არჩევითი მოდული „ღვინის დეგუსტაცია“ (2კრ) - მოდულის განმახორციელებელი ვარლამ აპლაკოვი;
4. ავტორიზებულ პროგრამაში არსებული მოდულები საწარმოო პრაქტიკა და პირველადი გადაუდებელი დახმარება ისევ რჩება. საწარმოო პრაქტიკა გადავიდა არჩევით ბლოკში 5 კრედიტის მოცულობით და პირველადი გადაუდებელი დახმარება, რჩება როგორც

დამოუკიდებელი მოდული, რომელიც რეესტრში რეგისტრირებული პროფესიული და დამოუკიდებელი პროფესიული მოდულებიდან არის არჩეული.

5. განახლდა მემორანდუმები - შპს „ორქო“ ასტორიასთან, ხოლო ი/მ მირიან იოსებაშვილთან გაფორმდა ახალი მემორანდუმი მოდულისთვის „ღვინის დეგუსტაცია“ სასწავლო ექსკურსიისთვის.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წამოადგინა: სასწავლო გეგმა; მატერიალური რესურსი; ადამიანური რესურსი; მოდულები; აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №59(24/25) პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები, სამი პროფესიული განათლების მასწავლებლის (განმახორციელებლის) პირადი საქმე. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები. კერძოდ, პროგრამების მოცულობა კრედიტებში განისაზღვრა შემდეგნაირად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება“ მოცულო ბაკრედიტებში: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 76 კრედიტი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 106 კრედიტი. ასევე, დაწესებულება გვაცნობებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული მიდგომით. გთხოვთ, შუამდგომლობას საბჭოს წინაშე აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს მხედველობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 მარტის N347105 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 მარტის N347105 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

მეორე საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯში "ადმზრდელი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბეგლარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 17 ივნისის N679709 ბრძანების საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს მარნეულის კოლეჯში (მისამართი: ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 ივნისს. შპს მარნეულის კოლეჯმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 62. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი დამატებით კიდევ 38 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ. კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა განაპირობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული პროგრამის მოთხოვნის მაღალმა მაჩვენებელმა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ხსენებული საფუძველი ვიზიტისას დეტალურად იქნა ახსნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენით. კოლეჯის აკადემიურმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გომელაურმა განმარტა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის დაწყების პარალელურად გაიზარდა მოთხოვნა საბავშვო ბაღების მხრიდან კვალიფიციურად მომზადებულ აღმზრდელებზე. ამის დასტურია, როგორც რეგისტრაციის დაფიქსირებული აპლიკანტთა მაღალი მაჩვენებელი, ისე სოციალური მედიის სივრცეში მიღებული მრავალი შეტყობინება, სადაც მოქალაქეები აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილს გამოთქვამენ. როგორც გაირკვა, მაღალია აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების

პროცენტული მაჩვენებელიც (90%). ამასთან, ქვემო ქართლის რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რაც დასაქმების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად ზრდის. დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.4 სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის უნარების გაძლიერებაზე, უშუალოდ ხელმძღვანელის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, თუნდაც სხვა პროგრამების უკვე გამოცდილი ხელმძღვანელებისგან კონსულტაციების მიღების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, წარმოების ფარგლებში ადგილზე ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- A გარემოსთვის სამი აუდიტორია (#221, 216# და # 214), რომელიც ჯამში აღჭურვილია საჭირო რესურსით 70 პროფესიულ სტუდენტზე. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი 1 მონიტორი და 1–ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 100 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღების გათვალისწინებით. A, B გარემოსა და პრაქტიკის კომპონენტის მეცადინეობების მონაცვლეობით სხვადასხვა ჯგუფისთვის სასწავლო გეგმის შედგენა შესაძლებლობას იძლევა, რომ A გარემოსთვის გამოყოფილი სივრცეები იყოს საკმარისი.
- B გარემოსთვის ორი აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსით - გამართულია ჯამში 32 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და თითო-თითო მასწავლებლისთვის. სასწავლო გეგმის შედგენისას სხვადასხვა ჯგუფისთვის მეცადინეობების მონაცვლეობით განაწილება B გარემოში, საშუალებას იძლევა არსებული რესურსით მიღწეული იქნეს სწავლის შედეგები მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სტუდენტების მიღების შემთხვევაშიც. იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული A და B ტიპის გარემო საკმარისი იქნება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, კოლეჯმა წარმოადგინა აუდიტორიების საათობრივი დატვირთვა ყველა პროგრამის ფარგლებში
- საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მარნეულის, დმანისის, ბოლნისის და თეთრიწყაროს ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან (24 საბავშვო ბაღის მითითებით, ჯამში 100 სტუდენტისთვის). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაწესებულებას გარდა ამ ორი მოდულისა პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე დამატებით გააქვს რამდენიმე მოდული, როგორიცაა „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დაკვირვება შეფასება“ და „ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები“, რაც კიდევ უფრო უმყარებს ცოდნას კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და საშუალებას

ამღევს დაწესებულებაში მიღებული თეორიული ცოდნა გაიდრმავონ პრაქტიკით, რეალურ სამუშაო გარემოში. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ მარნეულის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალ ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელს. გასაუბრებით დადასტურდა სრულ მზაობა და ჩართულობა, ასევე ვალდებულება, რომ პრაქტიკის ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, საგანმანათლებლო პროცესში პროფესიულ სტუდენტებს არა აქვთ რაიმე შეფერხება მატერიალურ რესურსთან მიმართებაში და ყველანაირი მასალებით უზრუნველყოფილნი არიან როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. აღმოჩნდა, რომ პარტნიორი დაწესებულება დაკომპლექტებულია 12 აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით. პროფესიულ სტუდენტებს მონაცვლეობით ანაწილებენ ბავშვთა ჯგუფებში, მათი ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის მიზნით. ბაგა-ბაღის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად მოამზადონ სხვადასხვა აქტივობა, აწარმოონ ბავშვთა დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები, შეიმუშაონ დღის განრიგი და მოამზადონ პრეზენტაციები თუ პროექტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღზრდელის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი (თითო მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი). დაწესებულების მიერ, ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ახალი პროგრამის ხელმძღვანელის ადაპტირება მოახდინა თუ არა დაწესებულებამ.

ექსპერტის განმარტებით, შეუსაბამობა პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციაში არ იკვეთებოდა. გასაუბრებით დადგინდა, რომ მას პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მენეჯერული უნარების გაუმჯობესება სჭირდებოდა, როგორც განმახორციელებელი და პროგრამის განვითარებაში მონაწილე, საკმაო გამოცდილების მქონეა.

საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ მარნეულში ბევრი პროფესიული კოლეჯი ახორციელებს აღზრდელის პროგრამას და ყველას ჰყავს თითქმის ერთი და იგივე პარტნიორი მარნეულსა და ბოლნისში. მოთხოვნილი სტუდენტთა კვოტაც საკმაოდ მალაია. აქვს თუ არა ბაგა-ბაღების გაერთიანებებს ამდენი სტუდენტის გამტარობის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი იყვნენ პირველები ვინც აღნიშნული პროგრამა განხორციელა მარნეულში, შესაბამისად აქვთ დიდი გამოცდილება. მისი თქმით, პრაქტიკის ხელშეკრულებაში ყველაფერი გაწერილია, პროგრამის 26% -ია გატანილი პარტნიორებთან, თითოეული გაერთიანების უკან ათეულობით ბაღია და კიდევ უფრო მეტი ჯგუფები, სადაც სტუდენტების პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკა გიგაშვილმა, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა, თუ როგორ უზრუნველყოფდა კოლეჯი პროფესიული სტუდენტების გადაადგილებას ან როგორ კონტროლდება მათი დასწრება თითოეულ ბაღში.

ექსპერტის განმარტებით, სტუდენტების განაწილება ხდება ძირითადად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ბევრი სტუდენტი უკვე დასაქმებულია და ისინი თავიანთ იქვე საბავშვო ბაღში გადიან პრაქტიკას. კოლეჯს აქვს მექანიზმი, მიიღოს ინფორმაცია პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ. ასევე, დაწესებულებას ჰყავს პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა, რამდენადაა თანხვედრაში სასწავლო გეგმით პრაქტიკული მოდულის განხორციელების პერიოდი საბავშვო ბაღში სააღმზრდელო პროცესთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოთაღნიშნულის თანხვედრა დაადასტურა და მანვე აღნიშნა, რომ დისტანციურად თანამშრომლობენ პრაქტიკის ობიექტებთან, უწევენ კონსულტაციებსაც, ასევე, კოლეჯს ჰყავს პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც გარკვეული სიხშირით ახორციელებს მონიტორინგს.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტი თეორიზაციის მუნიციპალიტეტში განსხვავებული ტიპის დაწესებულებაა და რამდენად თავსებადია დანარჩენ პროგრამის პრაქტიკის კომპონენტთან, ხომ არ იკვეთება რაიმე პრობლემა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული ბაღის დასახელებაა განსხვავებული, სინამდვილეში ჩვეულებრივი საბავშვო ბაღია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს მარნეულის კოლეჯში "აღმზრდელი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის კოლეჯის (ს/კ:234158498) დანართით განსაზღვრულ "აღმზრდელი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 100-ით (დანართი 2).

მესამე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისტვის "მასაჟის თერაპია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა გახარია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 22 მაისს გამოცემული MES 2 25 0000559263 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მასაჟის თერაპია“ საფუძველზე კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია Massage Therapy“ დამატების საკითხის შესწავლას. ექსპერტების მიერ, ვიზიტის განხორციელებამდე, იქნა შესწავლილ განაცხადი და განაცხადზე თანდართული დოკუმენტები. დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების განაცხადი ინფორმაციულია, მოიცავს საკითხთან დაკავშირებულ აღწერით ნაწილს. წარმოდგენილი დოკუმენტები მოწესრიგებულია სანიმუშოდ. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 ივნისს, მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. შესწავლილი დოკუმენტების შედეგად ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების დაზუსტდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. დაწესებულებამ საჭიროებისამებრ ითანამშრომლა ჯგუფთან და ხელი შეუწყო ვიზიტის შეუფერხებელ მიმდინარეობას, დროულად იქნა მოწოდებული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი. ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელ მოდულებზე განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია სამი პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტს და ხელი შეუწყო ერთი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრების წარმართვას, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში

შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის მსვლელობისას და შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, რომლის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვიზიტის დღეს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავს მოდულის/სწავლის შედეგის შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია 40 პროფესიული სტუდენტით (ერთ წლის მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტი). პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 4 აუდიტორია. დარგობრივი მოდულებზე სიმულაციური სწავლება დაგეგმილია „მასაჟის თერაპია C გარემოში“ N48 აუდიტორიაში, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის კარადა, დაფა, პროექტორი, 10 სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი სკამით, მოზარდა და ბავშვთა მულაჟები, შირმა და სხვა პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალურ რესურს სარეკომენდაციო რაოდენობაზე გაცილებით მეტი სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი და სკამი აქვს მობილიზებული დაწესებულებას (თანაფარდობა მოთხოვნისა და არსებულის არის 1/10). მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაციის გაცნობისა და სასწავლო გარემოების დათვალიერების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის 40 გათვალისწინებით. პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დანართ N3-ში ჩამოთვლილია სულ 28 პირი, აქედან 15 პროფესიული მოდულებისთვის (მათ შორის 1 პირი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ინსტრუქტორს), 7 ზოგადი მოდულებისთვის, 7 ინსტრუქტორი. პროგრამის განსახორციელებლად მობილიზებული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტის რაოდენობის სწავლებისთვის; წარმოდგენილი სასწავლო გეგმის დატვირთვის მიხედვით, განმახორციელებლების დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელ პირს უდასტურდება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელება დაგეგმილია კოოპერაციული სწავლებით, შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს 3 ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან: შპს გორმედი, შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტო. ხელშეკრულებები ითვალისწინებს მოდულის/სწავლის შედეგის დასახელებას, კრედიტებისა და საათების მითითებით, მატერიალური რესურსის ჩამონათვალს, რომლის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი. დაწესებულების განმარტებით. ექსპერტები გაესაუბრნენ შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტს წარმომადგენელს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებით, რომელმაც დაადასტურა მონაცვლეობის პრინციპით 20 პროფესიული სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა. დაწესებულება განმარტავს, რომ უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირებას თავდაპირველად ე.გ ჩარჩო ხელშეკრულების, შემდგომში კი კონკრეტული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების გზით. ექსპერტები, დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად, ვიზიტით იმყოფებოდნენ შპს

გორიმედში, სადაც დასტურდება მონაცვლეობის პრინციპით 20 პროფესიული სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტოში ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ სააგენტოში, მისი საქმიანობის არეალის მიხედვით, არ არის მოდულის „სპორტული მასაჟი“ მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეწოდა აღნიშნული ინფორმაცია, რის საპასუხოდაც ვიზიტის დღესვე კოლეჯმა წარმოადგინა ზემოთხსენებული მოდულის/სწავლის შედეგების სხვა პრაქტიკის ობიექტზე - ი/მ. ნ.ტ („მოტუს ცენტრი“), განხორციელების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება (ამასთან სააგენტოს ხელშეკრულებაში შესული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება სწავლის შედეგების ამოკლების შესახებ), აღნიშნულ ობიექტზე ვიზიტით და კომპანიის წარმომადგენელთან გასაუბრებით, დასტურდება მონაცვლეობის პრინციპით 20 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა რაკი კოლეჯი დიდი ხანია ფუნქციონირებს, თუ განხორციელდა ექსპერტების მიერ შეფასების ვალიდაცია-ვერიფიკაციის დოკუმენტაციის შესწავლა.

ექსპერტის განმარტებით, გასაუბრების დონეზე მოხდა ამ საკითხების განხილვა, თუმცა წარმოების ფორმატი ამ საკითხების შეფასებას არ ითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისთვის "მასაჟის თერაპია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მასაჟის თერაპია" (**დანართი 3**).

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ბაღდათი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 30 მაისის №604083 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 19 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112), (შემდგომში დაწესებულება), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" (შემდგომში – პროგრამა) შესწავლა ადგილზე. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, ასევე შეაფასა სასწავლო პროცესისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზევე გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ძირითადად დაკავშირებული იყო მცირე ტექნიკურ უზუსტობასთან. კოლეჯმა ოპერატიულად გაიზიარა არსებული ტექნიკური უზუსტობები და უზრუნველყო

შესაბამისი ცვლილებების განხორციელება დოკუმენტაციაში. კერძოდ, ცვლილებები შევიდა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სპეციალისტებისთვის. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება დოკუმენტაციის შინაარსობრივი გაუმჯობესებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდას. შესაბამისად დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე დაკვირვების შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სტანდარტის დარღვევის რაიმე ფაქტები არ გამოვლენილა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯ „იბერიას“ გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე: ქ. ბაღდათი, ქ. რუსთაველის ქ. N112. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისი გარემო: A გარემო (აუდიტორია N203) – ფართობი 32.45 კვ.მ, განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნულ სივრცეში უზრუნველყოფილია 15 პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე გათვლილი სამუშაო ადგილი, რაც შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ (დონე IV) ერთ ცვლაში განხორციელებისთვის აუცილებელ მინიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სასწავლო სივრცე სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას ერთ ცვლაში მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის. სასწავლო სახელოსნოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, ორი ცვლის შემთხვევაში, დასაშვები ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, რაც ემთხვევა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას. C გარემო (სასწავლო სახელოსნო N201) განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე. სახელოსნოს ფართობი შეადგენს 64.40 კვ.მ-ს, რაც შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესისათვის დადგენილ სტანდარტებს. გარემოში მოწყობილია 15 სამუშაო ადგილი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა/მსმენელთა ეფექტიანად სწავლა-შესწავლის პროცესში ჩართულობას ერთ ცვლაში. C სასწავლო გარემო აღჭურვილია სპეციალური დანიშნულების ინვენტარითა და მოწყობილობებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მათ შორის წარმოდგენილია: ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საკერავი მანქანა, სამბაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ხუთბაფიანი ორნემსიანი მანქანა, ღილკილოს შემსრულებელი მანქანა, ღილის დასაკერებელი ნახევრადავტომატური მანქანა, ზიგზაგური და ფიგურული გვირისტის მანქანები, პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა, საუთო მაგიდა, ორთქლის უთო, საუთო წნეხი ვაკუუმის გამწოვით და სხვა დანადგარები, რაც აუცილებელია პრაქტიკული კომპეტენციების ფორმირებისა და გადრმავეებისთვის. აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლეჯს თანდართულად წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 8 მაისის №32 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესების გეგმა 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მინიმალური მატერიალური რესურსების შეძენა 6 თვიანი ვადით, 2025 წლის 8 ნოემბრამდე. აღნიშნული პროცესის პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია: ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და შესყიდვების სპეციალისტი. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია დაწესებულების ბიუჯეტი. კოლეჯს სურს არსებული ბაზის

განახლება, სხვადასხვა სახის ინვენტარის შეძენა, რომელიც უფრო მეტად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა შესაბამისი რესურსების ვიზუალური დათვალიერება და გასაუბრება კომპეტენტურ პირებთან, შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და პროფესიული სტუდენტების შესაბამის შედეგებზე გაყვანას, ასევე მოცემული ინვენტარი კოლეჯის კუთვნილებაშია, რაც დასტურდება საინვენტარიზაციო უწყისით 27.12.2024. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება არსებულ სტანდარტებს. კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით კოლეჯის შეფასება იყო „მეტწილად შეესაბამება“, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა შეფასებით აღნიშნულ კომპონენტი გადავიდა „სრულ შესაბამისობაში“. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ჰყავს განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 9 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 5 უზრუნველყოფს ზოგადი განათლების კომპონენტების სწავლებას, ხოლო 4 მასწავლებელი ასრულებს პროფესიული მოდულების განხორციელების ფუნქციას. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შესაბამისობას, რაც განაპირობებს პროგრამის მდგრად განხორციელების შესაძლებლობას. მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსის“ დებულებებს და არ აღემატება კვირაში 40 სამუშაო საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ კოლეჯის მიერ ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. პარტნიორი ორგანიზაციები მოიცავს როგორც საწარმოებს, ისე ინდივიდუალურ მეწარმეებს, კერძოდ: შპს „MGtex“, ინდივიდუალური საწარმოები „მანანა კუპრამე“ ქეთინო შალამბერიძე“. მემორანდუმებში დეტალურად განსაზღვრულია მათი მიზანი და საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოქმედების ვადა და სხვა სამართლებრივი დებულებები. დოკუმენტების საფუძველზე რეგულირდება საწარმოო პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება პარტნიორ სტრუქტურებთან თანამშრომლობით. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზევე გასცა რეკომენდაცია, რომლებიც უკავშირდებოდა მემორანდუმების შინაარსობრივ სრულყოფას. მემორანდუმებში იყო მცირედი სახის ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ: მემორანდუმში გამორჩენილი იყო ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეეძლო პრაქტიკის ობიექტს და რამდენად ჰქონდა სტუდენტს ესარგებლა პრაქტიკის ობიექტზე არსებული ინვენტარით სწავლის შედეგების მისაღწევად. კოლეჯმა მყისიერად გამოავლინა მზადყოფნა აღნიშნული საკითხების გასაუმჯობესებლად და მოახდინა მემორანდუმების შესაბამისი მოდიფიკაცია, რაც ადასტურებს მის პრაქტიკულ დამოკიდებულებას ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების ორგანიზების მიმართ. პრაქტიკის ობიექტების ადგილზე დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად შეუძლია მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. ასევე საწარმოო გარემო სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოქმედ ნორმებს, აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ითვალისწინებს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე

სტუდენტების მოთხოვნებს და რეალურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო პირობებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას მეტწილი შესაბამისობა ჰქონდა მონიშნული თვითშეფასებაში მატერიალური რესურსის ნაწილში და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც ჰქონდა წარმოდგენილი და უთითებდა, რომ მინიმალური მატერიალური რესურსი არ ჰქონდა და შეიძენდა გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში სრული შესაბამისობაში იქნა გადატანილი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი სამივე პროგრამას ეხებოდა და მოითხოვა ექსპერტების განმარტება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ცენტრის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტებს ადგილზე დახვდათ ყველაფერი შეძენილი. ჯგუფის ხელმძღვანელმაც დაამატა, რომ მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების შეძენას აპირებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რამდენიმე ხელსაწყო თვითშეფასების წარდგენისას არ ჰქონდა კოლეჯს, რაც მოგვიანებით შეისყიდეს.

დარგის ექსპერტმა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ აქ საუბარი იყო ახალი თაობის ტექნოლოგიების შეძენაზე, თუმცა არსებული აღჭურვილობით სრულადაა შესაძლებელი სწავლის შედეგების მიღწევა.

ცენტრის წარმომადგენელმაც გააკეთა დამატებით კომენტარი, რომ დარგის ექსპერტს მეტი დასაბუთება მოეთხოვებოდა, რადგანაც შეიცვალა კომპონენტის შეფასება და მეტი დასაბუთება იყო საჭირო როგორც დაწესებულების, ასევე, დარგის ექსპერტების მხრიდან.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ შესაბამის გეგმაში მითითებული რესურსი ეხებოდა ახალ ტექნოლოგიებს, სწავლის შედეგების მისაღწევად ყველაფრის შეძენა მოხდა ექსპერტთა ვიზიტამდე. მატერიალური რესურსი სრულად ჰქონდა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, მოხდა თუ არა რაიმე აღჭურვილობის შეძენა, რაც არ არის ასახული დასკვნაში. შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო, რომ სამივე პროგრამისთვის უნდა მომხდარიყო მინიმალური მატერიალური რესურსის შეძენა მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დარგის ექსპერტებმა, სამივე პროგრამისთვის მატერიალური რესურსი შეაფასეს, როგორც სწავლის შედეგების მისაღწევად საკმარისი. ასევე, ვიზიტის დროს, გარკვეული ცვლილებები შევიდა ხელშეკრულებებში, თუმცა დეტალურად არ არის აღწერილი დასკვნაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების პროგრამის დარგის ექსპერტმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ რიგი მოწყობილობები, მართალია, არ იყო კოლეჯში, მაგრამ არსებობდა პრაქტიკის ობიექტზე. მისი თქმით, მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა სავსებით შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა იმ ბუნდოვანებაზე ითხოვა გამარტება, რაც დასკვნასა და თვითშეფასებაში არსებობდა. მან კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რომელ სარეკომენდაციო მატერიალური რესურსის ნუსხას დაადარა ექსპერტმა არსებული აღჭურვილობა, რადგან წარმოდგენილ მასალებში არ არის შესაბამისი ინფორმაცია. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების პროგრამისთვის საჭირო მართვის კომპიუტერული პროგრამა შესასყიდი ჰქონდა კოლეჯს, ვერ ვარკვევთ მის შესყიდვას, თუმცა ექსპერტი ამბობს, რომ მოდული გატანილია და პრაქტიკის ობიექტს ამის შესაძლებლობა აქვს.

დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამის შესწავლა შესაძლებელია ვიზუალური გამოსახულებებითაც, რომლის მოძიება ადვილად შეიძლება ინტერნეტში. მისი თქმით, ორი მოდული გატანილია პრაქტიკის ობიექტზე და იქ ამ მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა სავსებით შესაძლებელია.

მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის პროგრამის დარგის ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ ვიზიტის დროს კოლეჯს ყველაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ სწავლის შედეგებზე გავიდეს სტუდენტი. მისი თქმით, დაწესებულებას სურდა შეეძინა მაღალტექნოლოგიური, მრავალფუნქციური საკერავი მანქანა, რომელიც დამატებით კომფორტს უქმნის მკერავს. ასეთი მანქანა შესყიდული არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ბაღდათი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "იბერია" (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" (ქ. ბაღდათი) **(დანართი 4)**.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 30 მაისის №602803 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 18 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61), (შემდგომში დაწესებულება), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდის ტექნოლოგია და დიზაინი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" (შემდგომში – პროგრამა) შესწავლა ადგილზე. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, ასევე შეაფასა სასწავლო პროცესისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ

გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზევე გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ძირითადად დაკავშირებული იყო მცირე ტექნიკურ უზუსტობასთან. კოლეჯმა ოპერატიულად გაიზიარა არსებული ტექნიკური უზუსტობები და უზრუნველყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელება დოკუმენტაციაში. კერძოდ, ცვლილებები შევიდა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სპეციალისტებისთვის. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება დოკუმენტაციის შინაარსობრივი გაუმჯობესებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდას. შესაბამისად დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე დაკვირვების შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სტანდარტის დარღვევის რაიმე ფაქტები არ გამოვლენილა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯ „იბერიას“ გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე: ქალაქ ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქუჩა №61. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია დაწესებულების ბიუჯეტი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 45 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი. კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სასწავლო გარემოს აღჭურვილობა და საჭირო მატერიალური რესურსი. პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ - პროგრამისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია:

- A გარემო (აუდიტორია N110), ფართი - 34.19 კვ.მ. განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15.
- C გარემო (სასწავლო სახელოსნო N115), ფართი - 154.57 კვ.მ. განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15; აღნიშნულ გარემოში ასევე განთავსებულია გასახდელი ოთახები (სქესის მიხედვით), რომელიც პროფესიულ სტუდენტებს მეტი კომფორტის შესაძლებლობას ანიჭებს.

სასწავლო სახელოსნოს მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში (ჩართული ცვლა) პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 45 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი. აღნიშნული A და C გარემო გამოიყენება მხოლოდ პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯს თანდართულად წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 8 მაისის №32 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესების გეგმა 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მინიმალური მატერიალური რესურსების შეძენა 6 თვიანი ვადით, 2025 წლის 8 ნოემბრამდე. აღნიშნული პროცესის პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია: ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და შესყიდვების სპეციალისტი. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია დაწესებულების ბიუჯეტი. კოლეჯს სურს არსებული ბაზის განახლება, სხვადასხვა სახის ინვენტარის შეძენა, რომელიც უფრო მეტად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა შესაბამისი რესურსების ვიზუალური დათვალიერება და გასაუბრება კომპეტენტურ პირებთან, შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და პროფესიული სტუდენტების შესაბამის შედეგებზე გაყვანას, ასევე მოცემული ინვენტარი კოლეჯის კუთვნილებაშია, რაც დასტურდება საინვენტარიზაციო უწყისით 27.12.2024. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია მოცემულ სტანდარტებთან. კოლეჯს ასევე მობილიზებული აქვს დამატებითი მატერიალური რესურსი, რაც საშუალებას აძლევს დაზღვეული იყოს სასწავლო პროცესში მიმდინარე რისკებისგან (აქ იგულისხმება საკერავი მანქანების ის რაოდენობა, რომლებიც არ არის დატვირთვაში და შესაბამისი მომენტის შემთხვევაში გამოიყენებს კოლეჯი. კამში 4 ოთხი ცალი). კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით კოლეჯის შეფასება იყო „მეტწილად შეესაბამება“, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა შეფასებით აღნიშნულ კომპონენტი გადავიდა „სრულ შესაბამისობაშია“. კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და პროფესიული სტუდენტების შესაბამის შედეგებზე გაყვანას, ასევე პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესაბამისობაშია მოცემულ სტანდარტებთან. კოლეჯს ასევე მობილიზებული აქვს დამატებითი მატერიალური რესურსი, რაც საშუალებას აძლევს დაზღვეული იყოს სასწავლო პროცესში მიმდინარე რისკებისგან (აქ იგულისხმება საკერავი მანქანების ის რაოდენობა, რომლებიც არ არის სრულ დატვირთვაში და შესაბამისი მომენტის შემთხვევაში გამოიყენება. კამში 4 (ოთხი) ერთეული). კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით კოლეჯის შეფასება გახლდათ „მეტწილად შეესაბამება“, თუმცა ფარგლებში ექსპერტთა შეფასებით აღნიშნულ კომპონენტი გადავიდა „სრულ შესაბამისობაშია“. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ჰყავს განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 მასწავლებელი, რომელთაგან 6 უზრუნველყოფს ზოგადი განათლების კომპონენტების სწავლებას, ხოლო 4 მასწავლებელი ასრულებს პროფესიული მოდულების განხორციელების ფუნქციას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების შესაბამისად. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით. კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9-ით. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს 9 სტუდენტისთვის, კოლეჯი გეგმავს 15 სტუდენტის მიღებას ერთ ჯგუფში.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ კოლეჯის მიერ ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. პარტნიორი ორგანიზაციები მოიცავს როგორც საწარმოებს, ისე ინდივიდუალურ მეწარმეებს, კერძოდ: შპს „MGtex“, ინდივიდუალური საწარმოები „მოდებაძეები“, „მარიონელა“

და მზია ზანძელაძე. მემორანდუმებში დეტალურად განსაზღვრულია მათი მიზანი და საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოქმედების ვადა და სხვა სამართლებრივი დებულებები. დოკუმენტების საფუძველზე რეგულირდება საწარმოო პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება პარტნიორ სტრუქტურებთან თანამშრომლობით. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზევე გაიცა მცირედი რეკომენდაცია, რომლებიც დაკავშირებული იყო მემორანდუმების შინაარსობრივ სრულყოფასთან. დოკუმენტაციაში გამოვლინდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, რაც გულისხმობდა იმის დაზუსტების საჭიროებას, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის ერთდროულ მიღება შეეძლო პრაქტიკის ობიექტს, ასევე ჰქონდა თუ არა სტუდენტს შესაძლებლობა ესარგებლა ობიექტზე არსებული ინვენტარით სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. კოლეჯმა მყისიერად გამოხატა მზადყოფნა რეკომენდაციების გათვალისწინებისა და დოკუმენტაციის გაუმჯობესების მიმართულებით, შედეგად განხორციელდა მემორანდუმების შესაბამისი მოდიფიკაცია, რაც ცხადყოფს კოლეჯის პროაქტიურ დამოკიდებულებას ხარისხიანი და ეფექტიანი პრაქტიკული სწავლების ორგანიზების მიმართ. პრაქტიკის ობიექტების ადგილზე დათვალიერებისა და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად შეუძლია მინიმუმ 45 პროფესიული სტუდენტის მიღება. პრაქტიკის ობიექტზე ასევე დაგვიდასტურეს, რომ არსებობს მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებით და ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება შესაბამისი რაოდენობის მიწოდება. კოლეჯს ჰყავს რამოდენიმე კურსდამთავრებული, რომელიც უკვე დასაქმებულია პრაქტიკის ობიექტზე. საწარმოო გარემო სრულად აკმაყოფილებს მოქმედ უსაფრთხოების ნორმებს, აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ითვალისწინებს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა საჭიროებებს და რეალურად უზრუნველყოფს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მისაღწევად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "იბერია" (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" (ქ. ქუთაისი), **(დანართი 5)**.

მეექვსე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ბექარ კილასონია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 30 მაისის №602806 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 17 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61), (შემდგომში დაწესებულება), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების“ (შემდგომში – პროგრამა) შესწავლა ადგილზე. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, ასევე შეაფასა სასწავლო პროცესისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია,

რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა ექსპერტთა ჯგუფთან, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის ადგილზევე გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც კოლეჯმა ოპერატიულად გაიზიარა და უზრუნველყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელება არსებულ დოკუმენტაციაში. კერძოდ, ცვლილებები შევიდა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სპეციალისტებისთვის. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება დოკუმენტაციის შინაარსობრივი გაუმჯობესებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდას. შესაბამისად დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე დაკვირვების შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სტანდარტის დარღვევის რაიმე ფაქტები არ გამოვლენილა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -, „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ - განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე: ქალაქ ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქუჩა №61. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი A, B და C გარემოები უზრუნველყოფს განაცხადით მოთხოვნილი სტუდენტების გამტარუნარიანობას ცვლებში გადანაწილების გზით: A გარემო - აუდიტორია (110), გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. გარემო აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ინდივიდუალური მაგიდით და სკამით, დაფით, პროექტორით, პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილით/პერსონალური კომპიუტერით, პროექტორით და მულტიფუნქციური პრინტერით. B გარემო - აუდიტორია (203), გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. გარემო აღჭურვილია 15 პერსონალური კომპიუტერით, პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილით/პერსონალური კომპიუტერით პროექტორით, მულტიფუნქციური პრინტერით და ჭავლური პრინტერით (ფერადი). განაცხადის მიხედვით, პსდ-ს სტუდენტების პრაქტიკული სწავლების მიზნით (C გარემო) გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან: • სასაწყობე მეურნეობა ი.მ დავით თვალთავიძე • შპს „კულინარი“ • შპს „მგა მოტორსი“. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 30 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი გარემოს აღჭურვილობა და საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა კოლეჯის მიერ დასტურდება ფლობის დოკუმენტაციით, საინვენტარიზაციო უწყისი 27დეკემბერი 2024 წელი. კოლეჯს თანდართულად წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 29 მაისის №41 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესების გეგმა 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მინიმალური მატერიალური რესურსების შეძენა 6 თვიანი ვადით, 2025 წლის 29 ნოემბრამდე. აღნიშნული პროცესის პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია: ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და შესყიდვების სპეციალისტი. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია დაწესებულების ბიუჯეტი. კოლეჯს სურს არსებული ბაზის განახლება, სხვადასხვა სახის ინვენტარის შეძენა, რომელიც უფრო მეტად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა შესაბამისი რესურსების ვიზუალური დათვალიერება და გასაუბრება კომპეტენტურ პირებთან, შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ის მინიმალური მოთხოვნები რაც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად სრულ შესაბამისობაშია პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და პროფესიული სტუდენტების შესაბამის შედეგებზე გაყვანას. ასევე მოცემული ინვენტარი კოლეჯის კუთვნილებაშია, რაც დასტურდება საინვენტარიზაციო უწყისით 27.12.2024. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებსა მოთხოვნებს. კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით კოლეჯის შეფასება იყო „მეტწილად შეესაბამება“, თუმცა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა შეფასებით აღნიშნულ კომპონენტი გადავიდა „სრულ შესაბამისობაში“. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ჰყავს განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 მასწავლებელი, რომელთაგან 4 უზრუნველყოფს ზოგადი განათლების კომპონენტების სწავლებას, ხოლო 6 მასწავლებელი ასრულებს პროფესიული მოდულების განხორციელების ფუნქციას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. . საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

სათათბირო დროის დასრულების შემდეგ, საბჭოს თითოეულმა წევრმა განაცხადა თანხმობა სამივე პროგრამის დამატებაზე მონიტორინგის პირობით.

გადაწყვეტილებების გამოცხადების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა შუამდგომლობა ცენტრის მიმართ. კერძოდ, აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება მიენიჭა დაწესებულებას მონიტორინგის პირობით, რომელიც უნდა განხორციელდეს სწავლის დაწყებამდე, 8 ოქტომბერს, ადგილზე ვიზიტით, ექსპერტთა ახალი შემადგენლობით, 2.2. კომპონენტში თითოეული პროგრამისთვის. საბჭოს სრულ შემადგენლობას დარჩა შთაბეჭდილება, რომ არც დაწესებულების და არც ექსპერტების მიერ არ იყო კარგად შესწავლილი და შეფასებული პროგრამების მატერიალური რესურსის კომპონენტი და მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა სრულად დადებითი იყო, საბჭომ ერთხმად მიიღო მონიტორინგის ჩანიშვნის გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "იბერია" (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" (ქ. ქუთაისი), (დანართი 6).

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯში "იბერია" 2.2 კომპონენტში, სამივე პროგრამის ფარგლებში: "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" ქ. ბაღდათი და ქ. ქუთაისი, "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" ქ. ქუთაისი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ოქტომბერი.

მეშვიდე საკითხი: ა(ა)იპ - კოლეჯ "პრესტიჟის" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N4799032 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 27, 28 და 29 მაისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ (მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.N1ა). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. გასაუბრება შედგა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურადაა ასახული დასკვნაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების პირველ სართულზე, შესასვლელში განთავსებულია სენსორული საინფორმაციო დაფა, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტისთვის, მოკლევადიანი პროგრამების მსმენელებისთვის, კოლეჯის თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის. დაფაზე განთავსებულია დაწესებულებაში მიმდინარე სიახლეები, ღონისძიებების ანონსები და სასწავლო ცხრილები. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მარტივად მოიძიონ ინფორმაცია სასწავლო ცხრილებისა და განრიგის შესახებ. ასევე ინფორმაცია ცვლილების შესახებ. სენსორული დაფის მეშვეობით შესაძლებელია მარტივი წვდომა დაწესებულების ვებ-გვერდთან და კოლეჯის ვირტუალურ ტურთან, სადაც მოცემულია კოლეჯის ყველა სივრცე 360 გრადუსიან ფორმატში, მათ შორის სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები, ფოიეები და საერთო სარგებლობის სივრცეები. სენსორულ დაფაზე ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტები (შინაგანაწესი, პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები). ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული არის საუკეთესო გამოცდილება ვინაიდან დიდ როლს თამაშობს პროფესიულ ორიენტაციაში და ხელს უწყობს კოლეჯის პოპულარიზაციას. აღნიშნული დაფა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის გადაცემის მარტივ, მოქნილ და თანამედროვე საშუალებას.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეფუძნებოდა ჩარჩო დოკუმენტს, დაწესებულება ახორციელებდა 2021 წლიდან, ხოლო 2024 წელს კოლეჯმა ცვლილება განახორციელა არსებულ პროგრამაში და შესაბამისობაში მოიყვანა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს დანართის სახით ახლავს ორი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, ერთი განკუთვნილია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც ხორციელდება მიღევად რეჟიმში, ხოლო რეკომენდირებული მატერიალური რესურსი - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამისთვის. დაწესებულებაში ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ კოლეჯი დაეყრდნო ძველი მატერიალური რესურსების ჩამონათვალს, შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრულ B გარემოში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი მატერიალური რესურსები. დაწესებულებამ აღნიშნულის იდენტიფიცირება მოახდინა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე და წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 2 აპრილის N 01-4/28 ბრძანებით. პსდ-ს აღნიშნული პროგრამის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი შეფასებული აქვს როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი რესურსების სრულად უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას

განსაზღვრული აქვს 4 თვიანი ვადა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით აღნიშნული ვადა, რელევანტურია მატერიალური რესურსების მოსაბილიჩებლად, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შემთხვევაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტები (შესყიდვის ხელშეკრულება, საგადახდო დავალება, სასაქონლო ზედნადები და მიღება - ჩაბარების აქტი) აღნიშნული ჩამონათვალი შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართთან მატერიალური რესურსების შესახებ.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

2.4.2 1. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტისას სრულად შეისწავლა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. აღსანიშნავია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ფორმა არ მოიცავდა ინფორმაციას სრულყოფილად, მაგალითად, შეფასების ინსტრუმენტში არ ჩანდა აპელაციის პირობები, შეფასების პროცესისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები და მასალა ნედლეული, დამატებითი პირობები, ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი. ასევე, ზოგჯერ დავალების შესრულების ინსტრუქცია იყო ბუნდოვანი და არ იძლეოდა კონკრეტულ ინსტრუქციას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დარგის სპეციალისტთან ერთად შეფასების ინსტრუმენტის ფორმის გადახედვისა და მასში შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტის განახლებული ფორმა და დირექტორის ბრძანება (26.06.2025 N01-4/77) აღნიშნული ფორმის დამტკიცების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ფორმაში გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

4.1.2 3. კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი დებულება, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურდა მათი კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. ყველა პირად საქმეში განთავსებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. დაწესებულების მიერ შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაფიქსირდა ისეთი მოთხოვნა, რომელიც კონკრეტული პოზიციისთვის საჭიროებას არ წარმოადგენდა. მაგალითად, ტექნიკური პერსონალის ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრული იყო საოფისე პროგრამების ცოდნა, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში უცხოური ენის ცოდნა სავალდებულო იყო სპეციალისტისთვის, ხოლო სასურველი - მენეჯერისთვის. ზემოაღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულების ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან მიმართებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვის შესახებ, მათ შორის, დასაქმების, საოფისე პროგრამებისა და უცხო ენის ცოდნის კომპონენტში. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა კოლეჯის „პრესტიჟი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განახლებული რედაქცია (ბრძანება N01-4/76 ,26/06/2025). ამ წესის დანართი 1 მოიცავს დასაქმებულ პირთა მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნულ დანართში გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, კოლეჯში 2021 წელს დასრულდა სრული სამშენებლო სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ კოლეჯში მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აღიჭურვა მატერიალური რესურსით. კოლეჯში მოწყობილია 11 C გარემო, 8 B გარემო და 16 A გარემო. ასევე სივრცეები ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედანი, კვების ობიექტი, სსსმ/შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო, თეორიული სწავლების და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები. დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღიჭურვა მატერიალური რესურსით: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, სკანერით. გამოიყო სივრცე არქივისთვის. მატერიალური რესურსის ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 21 ივლისის N01-4/44 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება N01-4/77 (07.06.2024) დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, რომლის მიხედვითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა მიერ კოლეჯის მატერიალური რესურსებით და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას. კოლეჯის სტუდენტებს, მსმენელებს და თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით, იქ განთავსებული კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და თანამშრომლებს უფლება აქვთ სამუშაო/სასწავლო საათებში გამოიყენონ კოლეჯის კაბინეტებში, აუდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახებში და სასწავლო სახელოსნოებში არსებული ინვენტარი (აღჭურვილობა) და კომპიუტერული ტექნიკა უსაფრთხოების წესების დაცვით. ისარგებლონ ინტერნეტით და მისი მეშვეობით მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ და ჩაიწერონ ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე. ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, გააკეთონ საჭირო ქსერო ასლები, შეასრულონ პრაქტიკული დავალებები. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორისგან მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით 2019 წლიდან დღემდე, განახლდა/შესაბამისობაში მოვიდა დაწესებულების მოთხოვნებთან. დაწესებულების მფლობელობაშია სერვერი, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენება 330 პერსონალური კომპიუტერი, 25 ლეპტოპი, 40 მულტიფუნქციური პრინტერი, 25 პროექტორი. დაწესებულების მართვაში გამოიყენება 22 პერსონალური კომპიუტერი, 13 მულტიფუნქციური პრინტერი, 1 პროექტორი. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობაში და დაწესებულების მართვაში გამოიყენება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: კორპორატიული სატელეფონო მომსახურება სს „სილქნეტი“; ინტერნეტ მომსახურება შპს „სქაიტელი“, ვებ -

ჰოსტინგის მომსახურება შპს პროსერვისი, დომენური სახელის რეგისტრაციის მომსახურება შპს „ვორლდ ვაიდ ვებ ინტელიჯენსი“ კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წლიური საპროგნოზო ბიუჯეტი განსაზღვრულია დაწესებულების, როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საოპერაციო ხარჯები და მოგების წილი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია ფინანსური მენეჯერი. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგებით, ანგარიშებით დაფინანსების დინამიკის ანალიზით ჩანს, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“

